რეპრესიული კანონები, განსხვავებული აზრის დევნა და შერჩევითი მართლმსაჯულება

2025

რეპრესიული კანონები, განსხვავებული აზრის დევნა და შერჩევითი მართლმსაჯულება

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში

ავტორი: კარლო შერაზადიშვილი
რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

2025

სარჩევი

შესავალი 3

ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები - „დრაკონული კანონები“ 5

მასობრივი დაკავებები, მშვიდობიანი შეკრების კრიმინალიზაცია 7

შერჩევითი მართლმსაჯულება 9

ჯგუფური ძალადობა 10
ქონების დაზიანება და საარჩევნო კამპანიის ხელშეშლა 12
შერჩევითი გამოხატვის თავისუფლება 14
ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა 15
აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება შერჩევითი პრინციპით 16

პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება 19

მედიის და სამოქალაქო სექტორის დევნა ანტიკორუფციული ბიუროს საშუალებით 21

პოლიტიკური საქმიანობის უფლების აკრძალვა 25

დასკვნა 28

შესავალი

2024 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პროცესის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო,[1] ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური კრიზისი განვითარდა, რასაც თან ახლავს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები. 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ადგილი ჰქონდა: საპოლიციო ძალების მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სისტემატურ ფაქტებს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ;[2] არაიდენტიფიცირებული დაჯგუფებების მიერ აქციის მონაწილეებზე და ჟურნალისტებზე ძალადობას; აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის ბრალდებების წარდგენას და მოქალაქეთა მასობრივ დაჯარიმებას. მიუხედავად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული არაერთი კრიტიკული ანგარიშისა,[3] „ქართული ოცნების“ ხელისუფლება განაგრძობს ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებების საბოტაჟს და ადამიანის უფლებების დარღვევას.

---

[1] რადიო „თავისუფლება“ - „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნა არ სურს“. 28.11.2024. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html 28.10.2025.

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრი - შეკრებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში 23.12.2024 https://www.hrc.ge/files/reports/372Georgian%20sumrep.pdf 28.10.2025. ასევე: მონიტორინგის მოკლე ანგარიში საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით, 2024 https://hrc.ge/files/reports/342HRC-%20Brief%20Monitoring%20Report%20geo.pdf 28.10.2025.

[3] საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციების ახალი ანგარიში 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერის პროტესტის ჩახშობისთვის წამების და არასათანადო მოპყრობის სისტემურობას ადასტურებს: https://www.omct.org/site-resources/files/OMCT-Briefing-Note-Georgia.pdf 28.10.2025 ასევე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - ადამიანის უფლებები - კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/EAByU 30.10.2025

წინამდებარე ანგარიშში ასახულია 2025 წლის 1 აპრილიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა, შეკრებისა და გამოხატვის უფლებების კონტექსტში. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები პროექტის ფარგლებში ქალაქ თბილისში დააკვირდნენ 18 საპროტესტო აქციას, რომელთა უმრავლესობა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით და უკანონოდ დაკავებული პოლიტპატიმრების მხარდასაჭერად გაიმართა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგების გარდა, ანგარიში, ასევე, ეყრდნობა საჯარო წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას და დოკუმენტებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მრავალი ფაქტი, რომელთა შორისაა: „ქართული ოცნებასთან“ დაკავშირებული პირების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული მუქარა, ძალადობა და შანტაჟი; პოლიციელთა მიერ კანონით განსაზღვრული საფუძვლისა და დადგენილი წესების დაცვის გარეშე, უკანონო ადმინისტრაციული დაკავებები და დაკავებული პირების საპროცესო უფლებების უგულებელყოფა. ამასთან ერთად, განსაკუთრებით საგანგაშოა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად გამოყენება, რასაც აქტიურად უწყობს ხელს პოლიტიზებული პროკურატურა და მიტაცებული სასამართლო ხელისუფლება.

ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები - „დრაკონული კანონები“

გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების გზით,[4] „ქართული ოცნების“ მიერ ხელისუფლების მიტაცებამ და ანტიკონსტიტუციურმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, ქვეყანაში ავტორიტარული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი რეჟიმი შექმნა. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო როგორც შეკრებისა და გამოხატვის უფლების მარეგულირებელ აქტებს, ისე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

ჯერ კიდევ 2025 წლის 6 თებერვალს ძალაში შესულ ცვლილებს[5] უარყოფითი დასკვნა მოჰყვა როგორც ადგილობრივი[6] ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ეუთო/ოდირი და ვენეციის კომისია ანგარიშებში წერენ,[7] რომ არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების პრაქტიკა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს; ხოლო

---

[4] Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024), page 30, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029 28.10.2025; ასევე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ანატომია: როგორ აფასებს ეუთო/ოდირი 26 ოქტომბრის არჩევნებს. 28.12.2024 ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Eutoodiri-shepaseba 30.10.2025

[5] რადიო „თავისუფლება“ - „ქართული ოცნების“ პარლამენტმა პროტესტისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ცვლილებები დაამტკიცა. 06.02.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33305712.html 28.10.2025

6 ადამიანის უფლებათა ცენტრი - შეკრებისა და გამოხატვის უფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები და მონიტორინგის მიგნებები, 2025. 02.06.2025 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/files/reports/398report%20geo.pdf 30.10.2025

[7] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების შემზღუდველ რეპრესიულ ცვლილებებზე. 20.03.2025. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/H5JJI 30.10.2025

არაპროპორციულმა სანქციამ, მათ შორის - მკაცრმა ჯარიმებმა, შესაძლოა, დაარღვიოს შეკრების თავისუფლების უფლება და ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, რომელიც მომავალში შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის მსურველ პირს უბიძგებს, თავი შეიკავოს პროტესტის გამოხატვისაგან.

მიუხედავად ამისა „ქართული ოცნების“ პარლამენტი კვლავ აგრძელებს ადამიანის უფლებების შემზღუდველ საკანონმდებლო საქმიანობას. ამის მაგალითია 2025 წლის 16 ოქტომბერს დაჩქარებული წესით მიღებული მორიგი საკანონმდებლო პაკეტი,[8] რომლის მიხედვითაც, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილის მიერ სახის ნიღბით დაფარვის, ცრემლსადენი ან/და მომწამვლელი ნივთიერების ქონის, გზის გადაკეტვის ან დროებით კონსტრუქციის მოწყობის პირველივე შემთხვევა, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია, ადმინისტრაციულ პატიმრობა 20 დღემდე ვადით განისაზღვრება.[9] კანონის მიხედვით, მონაწილეობა იმგვარ შეკრებაში ან მანიფესტაციაში, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით შეწყვეტას ექვემდებარება, პირველივე შემთხვევაში გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 60 დღემდე ვადით. 60 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება პირს, რომელიც შეკრებისას იქონიებს იარაღს, პიროტექნიკას ან ისეთ საგანს, რომელიც გამოიყენება სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მისაყენებლად.[10] ამგვარი აკრძალული ქმედებების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ერთ წლამდე ვადით, ხოლო მესამე და ყოველი შემდეგი იგივე კანონსაწინააღმდეგო ქმედება ორ წლამდე ვადით.

გარდა ადმინისტრაციული კანონმდებლობისა, ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში,[11] რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლის მესამედ დარღვევის შემთხვევაში, პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. ასევე სისხლის სამართლებრივი სანქცია გათვალისწინებულია

8 იქვე. 20.03.2025. ხელმისაწვდომია:https://shorturl.at/H5JJI. 30.10.2025

9 კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 13.10.2025 https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/400558? 30.10.2025

10 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა კოდექსის 174 პრიმა მუხლი მე–9 პუნქტი.

11 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 13.10.2025 https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/400556? 30.10.2025

ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირისადმი, თუ იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174 პრიმა მუხლის მე-9 ან მე-10 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას ჩაიდენს.[12]

აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის წესის დარღვევა, წარმოადგენს მსუბუქ დანაშაულს. გათვალისწინებული სანქცია კი, პატიმრობის გარდა არ ითვალისწინებს ალტერნატიულ სასჯელს. ვინაიდან პატიმრობა სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომაა და გულისხმობს განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას, ამით იზღუდება სხვა უფლებებიც, რომელთა რეალიზაცია ობიექტურად შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას. ხოლო საპატიმრო სასჯელით დაცული სიკეთე ვერ გაუტოლდება ადამიანის უფლებებისთვის მიყენებულ ზიანს. რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს კონსტიტუციას.[13]

მასობრივი დაკავებები, მშვიდობიანი შეკრების კრიმინალიზაცია

საკანონმდებლო ცვლილებების მიღებიდან მეორე დღეს, „ქართული ოცნების“ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მასობრივად დაიწყო რეპრესიები მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ. 2025 წლის 18–19 ოქტომბერს, უკანონო გზის გადაკეტვის და სახის დაფარვის წესის დარღვევის გამო, 30–ზე მეტი დემონსტრანტი დააკავეს და დააჯარიმეს,[14] მათ შორის - რამდენიმე ჟურნალისტი. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მანუჩარ

[12] „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 174–ე პრიმა მუხლი.

[13] „საქართველოს კონსტიტუცია“, მე–13 მუხლი.

14 რადიო „თავისუფლება“ - გამკაცრებული კანონით აქციის მონაწილეთა დაკავებები დაიწყო. 19.10.2025. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/x3yfi 30.10.2025.

ცაცუამ, გზის ხელოვნურად გადაკეტვის ბრალდებით, 6-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა „ფორმულას“ ტელეწამყვანს ვახო სანაიას.[15] ამავე სასამართლოს მოსამართლე კობა ჩაგუნავამ, 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენა ჟურნალისტ ქეთა ციცქიშვილის მიმართ,[16] ხოლო ტელეკომპანია „ფორმულას“ სოციალური მედიის ჟურნალისტს ცირა ჟვანიას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თორნიკე ჩოქჩიანმა 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.[17]

მორიგ უკანონო დაკავებებს ჰქონდა ადგილი 2025 წლის 22–23 ოქტომბერს, პროტესტის 329-ე დღეს.[18] გამკაცრებული კანონმდებლობისა და სანქციების მიუხედავად, საპროტესტო აქციაზე მისულმა რამდენიმე მონაწილემ, საღამოს რვა საათისკენ, უკვე ტრადიციულად, გადაწყვიტა გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა პარლამენტის წინ, რუსთაველის გამზირზე. პოლიციელებმა მათ არ მისცეს ამის უფლება და აიძულეს მოქალაქეები გადასულიყვნენ ტროტუარზე. მოგვიანებით პოლიციის დამატებით მობილიზებულმა ძალებმა გააკეთეს კორდონი, რათა დემონსტრანტებს არ გადაეკეტათ გზა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეები ტროტუარზე ან სავალი ნაწილის კიდეში იდგნენ, პოლიციელებმა მოულოდნელად დაიწყეს მათი დაკავება. 30–მდე აქციის მონაწილე დააკავეს ადმინისტრაციული წესით. ხოლო ერთ დემონსტრანტს 22 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე საპატრულო პოლიციის მანქანაზე ასვლის გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 239–ე ხულიგნობის მუხლით, წარედგინა ბრალი.[19]

უკანონო დაკავებები გაგრძელდა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ყოველდღიურად ათობით მშვიდობიანი დემონსტრანტის წინააღმდეგ მიმდინარეობს რეპრესიული ადმინისტრაციული წარმოება.[20]

---

15 რადიო „თავისუფლება“ - 30-ზე მეტი მედიასაშუალება სოლიდარობას უცხადებს დაკავებულ ჟურნალისტ ვახო სანაიას. 20.10.2025. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/kfPMT 30.10.2025.

16 რადიო „თავისუფლება“ - „გზის გადაკეტვისთვის“ ჟურნალისტ ქეთა ციცქიშვილს 5-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს. 20.10.2025. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33565060.html 30.10.2025.

17 „ინტერპრესნიუსი“ - ჟურნალისტ ცირა ჟვანიას 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა. 21.10.2025 ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/852453-zhurnalist-cira-zhvanias-10-dgiani-administraciuli-patimroba-sheeparda/ 30.10.2025

18 რადიო „თავისუფლება“ - პოლიციამ რუსთაველზე დემონსტრანტები დააკავა. 22.10.2025. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33567059.html 30.10.2025.

19 რადიო „თავისუფლება“ - ქალი, რომელიც პოლიციის მანქანაზე ავიდა, სისხლის სამართლის წესით დააკავეს. 22.10.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33567091.html 30.10.2025.

20 რადიო „თავისუფლება“ - 5 დღეში პოლიციამ 29 დემონსტრანტი დააკავა „გზის უკანონოდ გადაკეტვის“ საფუძვლით. 01.11.2025. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33578720.html 04.11.2025.

უკანონო დაკავებების ფონზე, ადამიანის უფლებათა ცენტრი გამოთქვამს შეშფოთებას, სასამართლო ხელისუფლების მიერ ქვეყანაში რეპრესიული სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების შესახებ. დაჩქარებული მართლმსაჯულება და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, დასაბუთებული გადაწყვეტილებების სტანდარტის უგულებელყოფა, სანქციების განსაზღვრის ხარვეზები და არათანმიმდევრული პრაქტიკა, მტკიცების ტვირთის არასათანადო გადანაწილება, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, წარმოადგენს რეალურ საფრთხეს, რომელიც საპროტესტო აქციებში მუდმივად მონაწილე პირებს ემუქრებათ. ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებზე, რომელთა განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლის სამართლებრივ სანქციას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აქციის მონაწილე ზოგიერთი პირის მიმართ, გაზაფხულზე ათეულობით ადმინისტრაციული ჯარიმაა გამოწერილი, ამ ქმედებების სისხლის სამართლის ჩარჩოში მოქცევა სრულიად გამორიცხავს ქვეყანაში მშვიდობიანი შეკრების და გამოხატვის უფლებით სარგებლობას.[21]

შერჩევითი მართლმსაჯულება

საანგარიშო პერიოდში რეპრესიების ერთ-ერთ სახედ დემონსტრანტების წინააღმდეგ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება გვევლინება. აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ წაყენებული უსაფუძვლო ბრალდებები, მათ მიმართ გატარებული ღონისძიებები და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა მიანიშნებს „ქართული ოცნების“

21 რადიო „თავისუფლება“ - ერთი წლით პატიმრობა ემუქრება „გზის გადაკეტვის“ გამო გუშინ დაკავებულ დემონსტრანტს, ზურაბ მენთეშაშვილს. 01.11.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33578901.html 04.11.2025.

ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრისა და პოზიციის მქონე ადამიანების პოლიტიკურ დევნაზე, რაც საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობას ემსახურება. ამ შეფასებებს ამყარებს ის გარემოება, რომ იდენტურ კონტექსტში და გარემოებებში, „ქართული ოცნების“ წევრების, ან მხარდამჭერების მხრიდან განხორციელებულ მოქმედებებს სამართალდამცავი ორგანოები ხშირად რეაგირების გარეშე ტოვებენ, ან მსუბუქი მუხლით ხდება საქმის წარმოება.

ჯგუფური ძალადობა

ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთი მხრივ, „ქართული ოცნების“ შტაბის წევრების მიერ აშკარად და ჯგუფურად ჩადენილი ძალადობა აქციის მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ,[22] მეორე მხრივ კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის 2 სხვადასხვა საქმეზე, სადაც პროკურატურა ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას ედავებოდა ერთ შემთხვევაში 8,[23] (ზვიად ცეცხლაძე ვეფხია კასრაძე და სხვები), ხოლო მეორე საქმეზე 11 პირს[24] (ანდრო ჭიჭინაძე, ონისე ცხადაძე და სხვები). პირველ შემთხვევაში საქმე ეხება, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მხრიდან მიზანმიმართული ძალადობის შემთხვევას. 2025 წლის 8–9 სექტემბერს, მოქალაქეები მშვიდობიანად შეიკრიბნენ თბილისის მოქმედი მერის – კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან. ვინაიდან, კახა კალაძე ჯერ კიდევ მოქმედი მერი იყო, მოქალაქეები, საარჩევნო შტაბის წინ შეუსრულებელ დაპირებებზე და ქალაქში არსებულ პრობლემებზე საუბრობდნენ. აქცია სრულიად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, მოქალაქეებს არ გადაუკვეთიათ საარჩევნო შტაბის წინ არსებული ჯებირები, სადაც განთავსებული იყვნენ პოლიციელები. შეკრების დაწყებიდან რამდენიმე წუთში მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან გაჩერდა 2 ავტომობილი, საიდანაც გადმოვიდნენ კალაძის შტაბის წევრები, თავს დაესხნენ და ფიზიკურად იძალადეს იქ მყოფ მოქალაქეებზე. ამის პარალელურად საარჩევნო შტაბიდან

22 „ნეტგაზეთი“ - კალაძის შტაბთან აქციის მონაწილეებს დაუპირისპირდნენ, არიან დაშავებულები. 08.09.2025 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/784369/ 30.10.2025.

23 „პუბლიკა“ - 8 პირი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და ნაწილს - 2.5 წლით, ნაწილს კი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 02.09.2025 ხელმისაწვდომია: https://publika.ge/8-piri-sasamartlom-damnashaved-cno-da-nawils-2-5-wlit-nawils-ki-2-wlit-tavisuflebis-aghkveta-miusaja/ 30.10.2025

24 „პუბლიკა“ - კვალიფიკაცია შეიცვალა, ორგანიზებულობა და ჯგუფურობა დარჩა, რა შეიძლება იყოს სხვაობა. 02.09.2025. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/kvalifikacia-sheicvala-tumca-organizebuloba-da-jgufuroba-darcha-ra-aris-skhvao/ 30.10.2025.

დაიძრა მოძალადეთა მეორე ჯგუფი და იძალადა ჯებირებთან მყოფ აქციის მონაწილეებზე. შედეგად ფიზიკური დაზიანება მიიღეს მოქალაქეებმა და ჟურნალისტებმა,[25] მათ ნაწილს დაუმტვრიეს ტექნიკა და წაართვეს მობილური ტელეფონები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოძალადეთა მხრიდან გარკვეული საგნების სროლის შედეგად, დაზიანება მიიღეს სამართალდამცავებმაც.[26] მოგვიანებით მედიაში გავრცელებული ვიდეომასალიდან დგინდება, თუ როგორ კოორდინირებდა ორივე მოძალადე ჯგუფი და როგორ ორგანიზებულად მოხდა შემდეგ მათი გაერთიანება და მიმალვა საარჩევნო შტაბის შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, ხოლო მათი ძალადობის შედეგად ფიზიკური ზიანი მიადგათ როგორც მოქალაქეებს და ჟურნალისტებს, ისე სამართალდამცავებს, ბრალის წარდგენა მოხდა მხოლოდ 2 მოძალადე პირის მიმართ, ძალადობის მუხლით, რაც სასჯელის სახით 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.[27]

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება ზედაპირულად წარიმართა. პოლიცია არ დაინტერესებულა ძალადობრივი ჯგუფის ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ვინაობის დადგენით. მოგვიანებით დაკავებული პირები, მტკიცებულებათა ნაკლებობის და აქციის დაზარალებული მონაწილეების მიერ მიცემული ჩვენებების საფუძველზე, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.[28] საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხებოდა 2024 წლის ნოემბერ–დეკემბერში დაკავებული დემონსტრანტების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს, მიუხედავად იმისა, რომ არსებული მტკიცებულებებით თავიდანვე გამოირიცხა ორგანიზებული და ჯგუფური დანაშაულის ნიშნები, პროკურატურა ჯიუტად ცდილობდა დემონსტრანტების სისხლის სამართლის კოდექსის 225–ე

25 „ფორმულა“ - თავდასხმა კალაძის შტაბიდან და დაშავებულების მდგომარეობა. 09.09.2025. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/128477 30.10.2025.

26 „ბათუმელები“ - პოლიციელს მოხვდა ბოთლი და მუშტიც, ოღონდ „ოცნების“ აქტივისტის – რატომ არ იწყება გამოძიება? 09.09.2025. ხელმისაწვდომია https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/586792/ 30.10.2025.

27 რადიო „თავისუფლება“ - 2 ადამიანი დააკავეს დემონსტრანტებზე ძალადობის გამო, ერთი დემონსტრანტი - ბანერის დაზიანების გამო. 10.09.2025. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33526998.html 30.10.2025.

28 ტვ „პირველი“ - პატიმრობა ორი დღით - ქალებზე მოძალადეები გაათავისუფლეს. 12.09.2025. ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/109622-patimroba-ori-dgit-qalebze-modzaladeebi-gaatavisuples 30.10.2025.

მუხლით[29] გასამართლებას. ათეულობით მოწმე პოლიციელის და ვიდეოფაილის გამოკვლევის მიუხედავად, პროკურატურამ ვერ შეძლო აუცილებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც დააკმაყოფილებდა სისხლის სამართლის ბრალდებისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ორ საქმეზე საკუთარი ინიციატივით მოახდინა ბრალის გადაკვალიფიცირება და ჯამში 19 დემონსტრანტი („ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობით“[30]) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ცნო დამნაშავედ. ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ ძალაში დატოვა ორგანიზებულობისა და ჯგუფურობის კომპონენტი, რაც როგორც აღინიშნა, გამოირიცხა საქმეში არსებული მტკიცებულებებით - არათუ ჯგუფის ორგანიზება, პროკურატურამ ვერ შეძლო იმ ფაქტის დადასტურება, რომ ბრალდებულებს დაკავებამდე რაიმე ფორმით ჰქონდათ ერთმანეთთან კონტაქტი ან იცნობდნენ ერთმანეთს.[31] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე საქმეზე მოსამართლეებმა, თავი აარიდეს კონსტიტუციით აღიარებული, შეკრებისა და გამოხატვის უფლების კონტექსტში ასიათასობით ადამიანის შეკრების ფაქტზე მსჯელობას, ამ შეკრების სპონტანურ ხასიათს, რაც გამორიცხავდა 226–ე მუხლის აუცილებელი შემადგენლობის არსებობას: ა) საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევას; ბ) ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობას; გ) რამაც გამოიწვია ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება. ზემოხსენებული მუხლის მისადაგება მხოლოდ კონკრეტული ადამიანების მიმართ, სხვა არაფერია, თუ არა მათი დემონსტრაციული დასჯა და კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების დაშინება.

ქონების დაზიანება და საარჩევნო კამპანიის ხელშეშლა

2025 წლის 10 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამოქალაქო აქტივისტი მეგი დიასამიძე თბილისის მერის, კახა კალაძის საარჩევნო ბანერზე გაკეთებული წარწერის გამო დააკავა სისხლის სამართლის კოდექსის

29 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225–ე მუხლი.

30 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226–ე მუხლი.

31 ადამიანის უფლებათა ცენტრი - სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესების და საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიში. 03.07.2025. ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/files/reports/402analitic%202-geo.pdf 30.10.2025.

187–ე მუხლით,[32] რაც სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურებას ნიშნავს. 15 სექტემბერს დააკავეს კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი, ელენე ხოშტარია,[33] რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა სამოქალაქო აქტივისტს და კახა კალაძის საარჩევნო ბანერზე შემდეგი შინაარსის წარწერა გააკეთა: „რუსული ოცნება“, „რუსი“. მოგვიანებით, სამოქალაქო აქტივისტი მეგი დიასამიძე 2000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, ხოლო ელენე ხოშტარიამ პროტესტის ნიშნად გირაოს გადახდაზე უარი განაცხადა, რის გამოც მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

ამ ფაქტებისგან განსხვავებით, 2024 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტში „აგენტების შესახებ კანონის“ ხელმეორედ განხილვას[34] საზოგადოების და სამოქალაქო ორგანიზაციების მხრიდან მასშტაბური პროტესტი მოჰყვა, ორი მედიაორგანიზაციის და ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისების ფასადებზე გამოჩნდა ფერადი საღებავებით დაწერილი უცენზურო და შეურაცხმყოფელი სიტყვები.[35] ამ ფაქტებს სამართალდამცავების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სამთავრობო პროპაგანდისტული მედიების მიერ ეს შემთხვევები შეფასდა, როგორც აღშფოთებული მოქალაქეების გამოხატვის თავისუფლება. ამას გარდა, არაერთი თავდასხმა მოხდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ოფისებზე,[36] განსაკუთრებით - წინასაარჩევნო პერიოდში. მათ შორის ცეცხლის გაუჩნდა ენმ-ის კანდიდატის საარჩევნო შტაბს,[37] დააზიანეს ბანერები და საოფისე ინვენტარი, ზოგ

32 რადიო „თავისუფლება“ - კალაძის ბანერის „დაზიანების“ გამო სისხლის სამართლის წესით აქტივისტი მეგი დიასამიძე დააკავეს. 10.09.2025. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33527028.html 30.10.2025.

33 „პუბლიკა“ - ელენე ხოშტარია დააკავეს. 15.09.2025 ხელმისაწვდომია: https://publika.ge/elene-khoshtaria-daakaves/ 30.10.2025

34 „ნეტგაზეთი“ - პარლამენტში რუსული კანონის მეორე მოსმენით განხილვა დაიწყო. 30.04.2024 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/720422/ 30.10.2025.

35 რადიო „თავისუფლება“ - პოსტერები ოფისების და სახლების კედლებზე, წარწერები მანქანებზე - თბილისში სიძულვილის ახალი კამპანია დაიწყო. 09.05.2024 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32939391.html 30.10.2025.

36 რადიო „თავისუფლება“ - რუსთავში თავს დაესხნენ „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბს. 24.10.2021 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31527035.html 30.10.2025.

37 „ინტერპრესნიუსი“ – „ნაციონალური მოძრაობის" ინფორმაციით, გლდანში ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ოფისი დაწვეს. 16.11.2020 ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/629361-nacionaluri-mozraobis-inpormaciit-gldanshi-nika-melias-saarchevno-shtabis-opisi-dacves/ 30.10.2025

შემთხვევაში დაზიანდნენ პარტიის წევრებიც. გამოძიება ყველა ასეთ ფაქტზე ძირითადად ფორმალურად, ან ადმინისტრაციული წესით მიმდინარეობდა.

შერჩევითი გამოხატვის თავისუფლება

გასული წლების განმავლობაში საზოგადოებას ახსოვს „ქართული ოცნების“ წევრების და მაღალი თანამდებობის პირების მიერ საჯარო სივრცესა თუ სოციალურ ქსელში გაკეთებული არაერთი უხამსი გამონათქვამი, პირდაპირი შეურაცხყოფა და მუქარა სამოქალაქო ორგანიზაციების თუ სამოქალაქო აქტივისტების მიმართ.[38] უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში სოციალურ ქსელში გავრცელებულ მუქარას თან მოჰყვა ძალადობის ფაქტები სამოქალაქო აქტივისტების თუ აქციის მონაწილეების მისამართით.[39] ასეთი ფაქტების მიუხედავად, „ქართული ოცნების“ წევრების და მხარდამჭერების მიმართ სანქციების გამოყენება არ მომხდარა.

რაც შეეხება საპირისპიროდ გამოთქმულ კრიტიკას, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აქტიურად ცდილობს, კრიტიკული აზრის გამოხატვის შეზღუდვას, მათ შორის - სოციალურ ქსელებში. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2025 წლის ივნისში გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით[40], 20-ზე მეტი ჟურნალისტი თუ სამოქალაქო აქტივისტი დაჯარიმდა სხვადასხვა დროს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ კრიტიკული შინაარსის შემცველი პოსტების გამო. ამ კონტექსტში შერჩევითად სამართალდარღვევის საქმეების წარმოების დაწყება სამოქალაქო აქტივისტების, ტელეწამყვანების, ჟურნალისტებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების წინააღმდეგ, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიზანი არასასურველი, მიუღებელი აზრის დასჯა და ჩახშობაა.

---

38 civil georgia - მმართველი პარტია ოპონენტებზე ძალადობრივ თავდასხმებს ამართლებს. 29.06.2025 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/549968 30.10.2025

39 „ინტერპრესნიუსი“ - „სამოქალაქო აქტივისტი, ზუკა ბერძენიშვილი სცემეს“, 11.06.2024. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/802834-samokalako-aktivisti- zuka-berzenishvili-scemes/ 30.10.2025

40 ადამიანის უფლებათა ცენტრი - სამოქალაქო აქტივისტების დასჯის და რეპრესიების გაძლიერება, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, ჯარიმები facebook პოსტების გამო, მედიისთვის დახურული სასამართლო - მონიტორინგის ანგარიში, 2025. ხელმისაწვდომია: https://hrc.ge/files/reports/405analitic%203-geo.pdf 30.10.2025

ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა

4 ოქტომბერს ადგილობრივი არჩევნების პარალელურად საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ბრალდებით შვიდი ადამიანი დააკავეს.[41] პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულებმა ათონელის ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, წიწაკის სპრეი შეასხეს და ფიზიკურად, „ძალადობის მუქარით“ ხელი შეუშალეს პროსამთავრობო მედიების - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის გადამღებ ჯგუფებს.

დაკავებული პირებიდან ერთს ბრალად ედება „ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა - ძალადობის მუქარით“, რაც 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ხოლო ექვს მათგანს - ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, რაც ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, 2 წლამდე ვადით ან ორ წლამდე შინაპატიმრობას ითვალისწინებს.

რა თქმა უნდა მისასალმებელია სამართალდამცავი უწყებების მხრიდან მსგავს ფაქტებზე სწრაფი რეაგირება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მედიის წარმომადგენლები არაერთხელ გამხდარან თავდასხმის, მუქარის და ძალადობის მსხვერპლნი, მაგრამ საქმე როცა კრიტიკული მედიის წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს შეეხებოდა, გამოძიება ყოველ ჯერზე არაეფექტური, ხოლო მოძალადეები დაუსჯელები რჩებოდნენ. 2024 წლის ნოემბერ–დეკემბერში, პარლამენტის შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის დროს, 30-მდე ჟურნალისტის მიმართ გამიზნულად განხორციელდა ძალადობა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა.[42] უმძიმესი ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს ტელეკომპანია „ფორმულას“ და ონლაინ მედია „პუბლიკას“ ჟურნალისტებს - გურამ როგავას და ალექსანდრე ქეშელაშვილს. ამ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამოძიება მხოლოდ ფორმალურად დაიწო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, რომლის ფარგლებშიც დღემდე არ მომხდარა არც

41 რადიო „თავისუფლება“ - 7 დემონსტრანტს ასამართლებენ „საზმაუს“, „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ჯგუფების ხელშეშლის ბრალდებით. 23.10.2025. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33568694.html 30.10.2025

42 რადიო „თავისუფლება“ - „ჩავიკეცე, ვერ ამოვისუნთქე“ - როგორ უსწორდებოდნენ ჟურნალისტებს. 29.11.2024 ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/3kB7D 30.10.2025

ერთი მოძალადე პოლიციელის იდენტიფიცირება და დასჯა. ამ ფაქტების გარდა, არსებობს უამრავი შემთხვევა, თუ როგორ უშლიან ხელს ან ძალადობენ ოპოზიციური მედიის წარმომადგენლებზე, მათ შორის - „ქართული ოცნების“ წევრები და მხარდამჭერები, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია მედიით გავრცელებულ კადრებში.[43] მიუხედავად ამისა, მოძალადეები არ დასჯილან.

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება შერჩევითი პრინციპით

რეპრესიის სხვა მექანიზმებთან ერთად, დემონსტრანტებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდების პრაქტიკა ნეგატიურ ტენდენციად იქცა პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ. სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ფორმის შერჩევა, ძირითადად, დაუსაბუთებლად ხდება, რაც ქმნის ეჭვს პოლიტიკური ინტერესის არსებობის შესახებ.

კანონმდებლობის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმა, სასამართლომ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ ბრალდებული არ მიიმალოს, არ შეუშალოს ხელი მართლმსაჯულებას, არ გაანადგუროს მტკიცებულებები, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. გარდა პატიმრობისა, კანონი აღკვეთის სახით ბრალდებულის მიმართ ითვალისწინებს: გირაოს; შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ; პირად თავდებობას და სამხედრო მოსამსახურის შემთხვევაში - სარდლობის მეთვალყურეობას.

2024–2025 წლებში, აქციების დროს დაკავებული ყველა აქტივისტის მიმართ პროკურატურამ პირველ ეტაპზე ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა მოითხოვა.[44] დასაბუთება პატიმრობის გამოყენების შესახებ ეყრდნობოდა განზოგადებულ რისკებს, როგორიცაა: მტკიცებულებების განადგურება, ახალი დანაშაულის ჩადენა ან მიმალვის საფრთხე. საინტერესოა ის გარემოება, რომ პროკურატურა მიმალვის

43 „მედიაჩეკერი“ - კალაძის შტაბთან მომხდარი დაპირისპირების გაშუქებისას საქმიანობაში ხელი 6 ჟურნალისტს შეუშალეს. 09.09.2025. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/H8zga 30.10.2025

44 რადიო „თავისუფლება“ - რა საჭიროა პატიმრობა დანაშაულის დამტკიცებამდე. 11.08.2025 ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/scXBD 30.10.2025

საფრთხის დასაბუთებაში ბრალდებული პირის საზღვარგარეთ ყოფნის ფაქტს ასახელებდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენების შესახებ - ბრალდებულების ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე, როგორებიცაა: ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, მათი პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. ამასთან, დაკავებულთა შორის იყვნენ 21 წლამდე პირები, სტუდენტები და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ადამიანები. ზოგიერთი იყო ერთადერთი მარჩენალი ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრის მომვლელი. უმრავლესობა არ იყო წარსულში ნასამართლევი, ან/და ასევე არ ჰქონდა ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

განსხვავებული მიდგომა ვნახეთ პროკურატურისა და სასამართლოს მხრიდან, „ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე.[45] გამოძიების თანახმად, 2019-2024 წლებში, თავდაცვის მინისტრის და პრემიერ-მინისტრის თანამდებობებზე ყოფნის დროს, ირაკლი ღარიბაშვილი „ფარულად და შენიღბულად, აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა ტიპის ბიზნეს საქმიანობას და იღებდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, არალეგალური წარმომავლობის შემოსავლებს“. ირაკლი ღარიბაშვილს ამ ეტაპზე ბრალი სსკ-ის ერთი მუხლით აქვს წაყენებული, კერძოდ - 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლით, რაც 9-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პროკურატურისა და ადვოკატების განცხადებით, ღარიბაშვილმა წარდგენილი ბრალი აღიარა.[46]

ფულის გათეთრება მძიმე დანაშაულთა რიცხვში შედის და ბრალი უპირობოდ პატიმრობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ღარიბაშვილს, როგორც მთავრობის ყოფილ მეთაურს, სავარაუდოდ გააჩნია მოწმეებზე და გამოძიებაზე ზემოქმედების ბერკეტები. ამ გარემოებების მიუხედავად,

45 რადიო „თავისუფლება“ - ღარიბაშვილს ბრალი წარედგინა. პროკურატურამ 1 მლნ გირაო მოითხოვა. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33569216.html 30.10.2025.

46 რადიო „თავისუფლება“ - სუსი - ირაკლი ღარიბაშვილმა უკანონო შემოსავლების მიღება აღიარა. 22.10.20254 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33566972.html 30.10.2025.

სასამართლომ მის მიმართ აღკვეთის სახით გამოიყენა არასაპატიმრო ღონისძიება - ერთი მილიონი ლარის ოდენობის გირაო.[47] ამ შემთხვევაშიც, სასამართლო ლმობიერი აღმოჩნდა, ვინაიდან ერთი თვის ვადაში, სანამ არ მოხდება გირაოს თანხის შეტანა, ბრალდებული თავისუფლებაზე რჩება. ამ ფაქტისგან საპირისპიროდ გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით[48] შეეფარდათ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ოპონენტებს, რომელთაც წულუკიანის საგამოძიებო კომისიაზე[49] გამოუცხადებლობის გამო წარედგინათ ბრალი, რაც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულად ითვლება.[50]

ზემოაღნიშნული ფაქტები საზოგადოებაში ტოვებს შერჩევითი მართლმსაჯულების განცდას, რაც პირდაპირ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით[51] დაცულ თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს გარანტიას, რომ მას მოეპყრობიან თანასწორად, მიუხედავად რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა. კანონი კრძალავს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვას ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლას, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭებას ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღებას. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისა. გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, სამართლიანობის თანასწორობის პრინციპები ყველა საერთაშორისო კონვენციის და ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ **შერჩევითი მართლმსაჯულება ანადგურებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას, ძირს უთხრის დემოკრატიულ ღირებულებებს და არღვევს ადამიანის უფლებების მთავარ პრინციპებს.**

---

47 რადიო „თავისუფლება“ - ირაკლი ღარიბაშვილს 1 მლნ-ლარიანი გირაო შეეფარდა და ქვეყნიდან გასვლა აეკრძალა. 24.10.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33569383.html 30.10.2025.

48 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე–200 მუხლის მე–6 პუნქტი.

49 რადიო „თავისუფლება“ - "წულუკიანის კომისია" ოპოზიციის წინააღმდეგ, 460-გვერდიანი დასკვნით. 05.08.2025 ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ch7g4 30.10.2025.

50 რადიო „თავისუფლება“ - მამუკა ხაზარაძეს 50000-ლარიანი გირაო შეუფარდეს. 02.04.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33368613.html 30.10.2025.

51 საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლი.

პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება

კანონმდებლობით, პოლიტიკური პატიმრის უნივერსალური განსაზღვრება არ არსებობს. პოლიტიკურ პატიმრად ფასდება ადამიანი, რომელიც დააპატიმრეს მისი პოლიტიკური აქტივობის, ან ხელისუფლების კრიტიკის გამო, ამასთან ერთად არ არის აუცილებელი რომ ის იყოს პოლიტიკოსი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. ევროპის საბჭოს კრიტერიუმებით,[52] თავისუფლებააღკვეთილი ადამიანი შეიძლება შეფასდეს პოლიტპატიმრად თუ: დაკავებით დაირღვა აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება; დააკავეს წმინდად პოლიტიკური მიზეზებით, ყოველგვარ დანაშაულთან კავშირის გარეშე; პოლიტიკური მოტივების გამო, პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები ცალსახად შეუსაბამოა კანონდარღვევასთან, რაშიც პირი დამნაშავედაა ცნობილი, ან რაშიც ბრალი ედება; პოლიტიკური მოტივის გამო, ადამიანს, სხვებისგან განსხვავებით, დისკრიმინაციულად აკავებენ; თუ დაკავება შედეგია ცალსახად უსამართლო პროცედურებისა, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთანაა დაკავშირებული.

ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, პოლიტიკური მოტივით დაკავებული ადამიანების რაოდენობა კრიტიკულად გაზრდილია. ამასთან დაკავშირებით ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელენა ვალტონენმა საქართველოში ყოფნისას აღნიშნა,

52 Parliamentary Assembly. The definition of political prisoner. https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150 30.10.2025

რომ „საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე იმაზე მეტი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს, ვიდრე რუსეთს.“[53]

ამასთან, ევროპული პარლამენტის 2025 წლის 9 ივლისის რეზოლუცია[54] განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში პოლიტიკური პატიმრების მზარდ რაოდენობასთან დაკავშირებით და ხელისუფლებას კვლავ მათი უპირობო, მყისიერი გათავისუფლებისკენ მოუწოდებს. რეზოლუცია ასევე მკაცრად გმობს პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებების გამო ზურაბ ჯაფარიძის, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, გიორგი ვაშაძის, ნიკა მელიას და სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დაკავებას, მათ მსჯავრდადებას და მათ პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევს. რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აქტივისტების და ჟურნალისტების დაკავებებს, მათ შორის გაზეთ „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელს, რომელსაც 2025 წლის 22 ოქტომბერს ევროკავშირის მიერ დაწესებული სახაროვის სახელობის პრემია გადაეცა.[55] ამაღლობელის საქმეს ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2025 წლის 19 ივნისს ევროპარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ რეზოლუციაში,[56] სადაც ასევე ვრცლად არის საუბარი ქვეყანაში ჟურნალისტების თვითნებური დაკავებების, შევიწროებისა და ძალადობის, მათ შორის - ცილისწამების კამპანიების, სამართლებრივი დევნის, ძალადობისა და გენდერული ძალადობის ფაქტებზე; ამასთანავე, ევროპარლამენტი მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს განსხვავებული აზრის დევნა და უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლებისათვის უსაფრთხო და თავისუფალი სამუშაო გარემო, რაც გამოწვეულია შეკრებისა და მანიფესტაციის ამკრძალავი კანონმდებლობის იმპლემენტაციით.

---

[53] „ინტერპრესნიუსი“ – „საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე იმაზე მეტი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს, ვიდრე რუსეთს – ეს არ არის ევროპული გზა“. 20.10.2025. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/6tPFw 30.10.2025

[54] European Parliament resolution of 9 July 2025 on the 2023 and 2024 Commission reports on Georgia. ხელმისაწვდომია: (2025/2024(INI) https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2025-0158_EN.html 30.10.2025

55 რადიო „თავისუფლება“ - მზია ამაღლობელს გადაეცა სახაროვის პრემია. 22.10.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33566615.html 30.10.2025

[56] JOINT MOTION FOR A RESOLUTION on media freedom in Georgia, particularly the case of Mzia Amaglobeli https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-10-2025-0282_EN.html 30.10.2025

მედიის და სამოქალაქო სექტორის დევნა ანტიკორუფციული ბიუროს საშუალებით

2025 წლის 2 აპრილს ძალაში შევიდა კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“,[57] რომელიც სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ რეპრესიული პოლიტიკის ერთ–ერთ მთავარ იარაღად იქცა. ამას ადასტურებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შეფასება, სადაც ნათქვამია, რომ „მიღებული კანონი საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას და ადამიანის უფლებების დაცვას“.[58] „კანონი უარყოფით გავლენას იქონიებს გაერთიანების, მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც დემოკრატიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ვენეციის კომისია პირდაპირ მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“ კანონის გაუქმებისაკენ.[59]

კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, არის უცხოური სუბიექტის ინტერესების გამტარებელი, ვალდებულია, დარეგისტრირდეს, როგორც უცხოელი აგენტი. კანონი ასევე ადგენს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მათთვის, ვინც უარს იტყვის რეგისტრაციაზე ან არ შეასრულებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ

57 საქართველოს პარლამენტი. „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/30320 30.10.2025

58 „Georgia’s foreign agents legislation raises concerns over negative impact on civil society, OSCE human rights office says“, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/588667?fbclid=IwY2xjawJaY6ZleHRuA2FlbQIxMQABHWeEdwz5xmgGbO6x1XwvCY-4a-73cQokPkWFnJJ-aMSAbgyF0sG5DRy4Tw_aem_ZLI_LCGyALfvcNYgE7P5oA, 30.10.2025

59 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW OF THE COUNCIL OF EUROPE (VENICE COMMISSION) ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e 30.10.2025

ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქცია კი ანტიკორუფციულ ბიუროს („ბიურო“) აკისრია.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში, სამოხელეო დანაშაულის პრევენციის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ანტიკორუფციული ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საქართველოში ანტიკორუფციული ბიურო საზოგადოების ნდობით ვერ სარგებლობს. მისი საქმიანობა ხშირად აღიქმება, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი მას შემდეგ გახდა, რაც 2025 წლის სექტემბერ–ოქტომბერში პროკურატურის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, გამოვლინდა მაღალი თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მიტაცების და კორუფციის არაერთი ფაქტი.[60] მათ შორის პროკურატურამ ბრალი წაუყენა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ქონებრივი დეკლარაციის გაყალბებასთან დაკავშირებით. მანამდე 2023 წლის 5 აპრილს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სავიზო შეზღუდვები დაუწესა სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის გამო“.[61]

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის მკვლევრები და გამომძიებელი ჟურნალისტები ხმამაღლა საუბრობდნენ თანამდებობის პირების მიერ სავარაუდო კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის შესახებ და დაუსაბუთებელ დიდი ოდენობით შემოსავლებზე, ანტიკონსტიტუციური ბიუროს მიერ ამ ფაქტების შესწავლა არ მომხდარა. ნაცვლად იმისა, რომ ბიურო დაკავებული ყოფილიყო ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებით, რეალურად, სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ რეპრესიების განმახორციელებელ უწყებად გარდაიქმნა.[62]

---

60 რადიო „თავისუფლება“ - ამოღებულია 7 მილიონი დოლარი, ძვირფასი ნივთები, ნახატები... - სუსი ღარიბაშვილის და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების სახლების ჩხრეკაზე. 18.10.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33563490.html 30.10.2025.

61 რადიო „თავისუფლება“ - რით დაიწყო და როგორ გაგრძელდა "ოცნების" დასჯა - ყველაფერი ერთად სანქციებზე. 18.12.2024 ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cGzoe 30.10.2025.

62 ქართული უფლებადაცვითი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება. 11.10.2025 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/771/geo/ 30.10.2025 იქვე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება: „კორუფციის მხილების ნაცვლად, ანტიკორუფციული ბიურო სამოქალაქო საზოგადოებას დევნის“ 10.11.2025 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/774/geo/ 11.11.2025.

2025 წლის ივნისში განხორციელებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით, ანტიკორუფციული ბიურო გახდა „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ კანონის ძირითადი აღმასრულებელი ორგანო.[63] სწორედ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს მოჰყვა ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან 30–მდე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყება, ორგანიზაციებისგან ფინანსური და პირადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების მოთხოვნა.[64] მოთხოვნილ ინფორმაციას შორისაა პირადი მონაცემები, გრანტის გაცემის შემდეგ გათვალისწინებული სამუშაო გეგმა, ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები, მონაწილეებისა და ბენეფიციარების პირადი ინფორმაცია (პირადი ნომრები), აქტივობის ამსახველი ფოტო-ვიდეომასალა და სხვა დეტალები.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული უკუსვლის ფონზე მიღებული ახალი კანონმდებლობა დაუმორჩილებლობისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, სამოქალაქო ორგანიზაციებმა, უარი განაცხადეს ბიუროსათვის ბენეფიციარების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემაზე, რის შემდეგაც ანტიკორუფციულმა ბიურომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და ორგანიზაციებისგან ინფორმაციის მისაღებად განჩინების გამოცემა მოითხოვა.[65]

ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებების გარდა, სექტემბრის დასაწყისში, პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ალეკო ცქიტიშვილი.[66] პროკურატურის განცხადებით, გამოძიება მიმდინარეობს

---

[63] საქართველოს კანონი „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“, საქართველოს პარლამენტი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30320, 30.10.2025.

64 არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება – „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო. 22.09.2025 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/768/geo/ 30.10.2025.

65 რადიო „თავისუფლება“ - ანტიკორუფციულმა ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაციებს კვლავ გაუგზავნა წერილი. 15.08.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33503912.html 30.10.2025

66 Observatory - საქართველო: მზარდი რეპრესიები – ანტიკორუფციულმა ბიურომ 20-ზე მეტი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია სამიზნედ აირჩია, ორგანიზაციების ლიდერები 'საბოტაჟის' საქმეზე გამოიკითხნენ. 26.09.2025 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/769/geo/ 30.10.2025

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლით[67], რაც გულისხმობს „დამამძიმებელი გარემოებებით ჩადენილ საბოტაჟის მცდელობას“, „უცხოური ორგანიზაციისთვის ან უცხოური გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციისთვის მტრულ მოქმედებებში დახმარებას“ (სსკ-ის 314-ე მუხლი) და „საქართველოს კონსტიტუციური წყობისა და ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისათვის თანხის მობილიზებას“ (სსკ-ის 315-ე მუხლი).

აღნიშნულ ფაქტს გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) და წამების წინააღმდეგ მსოფლიო კომიტეტის (OMCT) პარტნიორობით შექმნილი ორგანიზაცია „Observatory - უფლებადამცველების დასაცავად“ აცხადებს, რომ 2024 წლის აპრილის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა რეპრესიები სამოქალაქო საზოგადოების და განსხვავებული აზრის მქონე პირების მიმართ, განსაკუთრებით - იმ კანონმდებლობის მიღებით, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების და სამოქალაქო სივრცის შეზღუდვას. ამ პროცესში შედის 2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, შემდგომ – 2025 წლის „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და ბოლო პერიოდში „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც მიმართულია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის დისკრედიტაციისკენ, დაფინანსების შეწყვეტისკენ და მათი ჩახშობისკენ.[68] ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადყოფს „ქართული ოცნების“ მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის სურვილს, რისი მიზანიც საქართველოს წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფერხება, მათი ხმის ჩახშობა და მათი თანამშრომლებისა და ბენეფიციარების დაუცველ მდგომარეობაში ჩაყენებაა.

67 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლი

68 Observatory - სასამართლო შევიწროება და ბინის ჩხრეკა უფლებადამცველების და აქტივისტების წინააღმდეგ. 05.05.2025 ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/738/geo/ 30.10.2025

პოლიტიკური საქმიანობის უფლების აპრძალვა

2025 წლის 5 თებერვალს „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მხარი დაუჭირა „2003–2012 წლებში პარტია მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის, პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის“ შექმნას.[69] კომისიის გაცხადებული მიზანი წინა ხელისუფლების დანაშაულების შესწავლა და გამოძიება იყო, მაგრამ საბოლოოდ მას შემდეგ, რაც პარლამენტის მიერ მოხდა კომისიის უფლებამოსილების გაფართოება, პოლიტიკური ოპონენტების დევნის ახალ იარაღად გადაიქცა.

კომისიაზე გამოუცხადებლობის ბრალდებით 8 ოპოზიციონერ პოლიტიკურ ლიდერს წარედგინა სისხლის სამართლის ბრალი.[70]

გარდა პოლიტიკური ოპონენტების დაკავებისა და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისა, „ქართულმა ოცნებამ“, ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, განიზრახა საქართველოში ადამიანებისათვის პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.[71] 2025 წლის 13 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ მიერ

---

[69] საქართველოს პარლამენტის დადგენილება: 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/komisia/2003-2012/komisia_sagamodziebo.pdf 30.10.2025

70 რადიო „თავისუფლება“ - „გისოსებს მიღმა - როგორ მოხვდნენ ოპოზიციური პოლიტიკოსები ციხეში“ 02.07.2025 ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/AI7rJ 30.10.2025

[71] საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30503 30.10.2025

დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო პაკეტით, შესაძლებელი გახდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა და აკრძალულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის პარტიული საქმიანობის (მათ შორის, პარტიის დაარსება, პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება), სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლების, ასევე არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვა.[72]

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ ეწინააღმდეგება პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპებს. პარტიასთან კავშირში მყოფი პირების პოლიტიკაში მონაწილეობის აკრძალვა წარმოადგენს სრულიად ბუნდოვან და გაუმართლებელ პასუხისმგებლობის, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს[73] (გაერთიანების თავისუფლება), ასევე - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლს.[74] აღნიშნული კანონი კი აჩენს რეალურ რისკს, რომ იგი შესაძლოა გამოყენებული იქნეს ავტორიტარული ტენდენციების გასამყარებლად და პოლიტიკური ოპონენტების განადგურების იარაღად იქცეს.

პარტიასთან კავშირი თავისთავად, არ ქმნის პასუხისმგებლობას პარტიის უკანონო ქმედებებისთვის. ადამიანი არ შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმის გამო, რომ ის კავშირში იყო პარტიასთან, რომელიც აიკრძალა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ვარიანტით ეს პასუხისმგებლობა არ არის დროითი ვადით შემოსაზღვრული და კონკრეტულ პარტიასთან კავშირი პირისათვის შეიძლება მისი პოლიტიკური კარიერის დასრულების ტოლფასი იყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაც არსებითად არაპროპორციულად ზღუდავს პირის პოლიტიკურ უფლებებს.

გარდა ამისა, კანონიდან არ ჩანს, თუ რას მოიცავს პარტიასთან დაკავშირებული პირის ცნება და მასში რა სახის კავშირი იგულისხმება. კანონის ასეთი ბუნდოვანი რეგულაცია ტოვებს ინტერპრეტაციის ფართო არეალს და ქმნის მისი ბოროტად გამოყენების რისკს, რომ ოპოზიციურად

---

72 რადიო „თავისუფლება“ - "ქართულმა ოცნებამ" პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მიიღო. 13.05.2025 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33412623.html 30.10.2025.

73 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე–11 მუხლი.

74 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი 22-ე მუხლი.

განწყობილი პირების აქტივობა სასამართლოს მეშვეობით მარტივად შეიზღუდოს პარტიასთან „დაკავშირებული პირის“ სტატუსით. თავისთავად, ბუნდოვანი ნორმა მისი არაკონსტიტუციურობის საფუძველს შეიძლება ქმნიდეს.

2025 წლის 28 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ პარლამენტმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ლელო – ძლიერი საქართველო“ „კოალიცია ცვლილებებისთვის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების მიზნით.[75] ასაკრძალ პარტიების სიაში არ მოხვდა „გახარია საქართველოსთვის“ და ასევე მცირე პოლიტიკური პარტიები. როგორც „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, პარტიების აკრძალვის გადაწყვეტილების მიღებისას მათ იხელმძღვანელეს შემდეგი კრიტერიუმით: „რამდენად უქმნის პარტია თავისი ზომით, ორგანიზებული სტრუქტურით თუ პოლიტიკური გავლენით საფრთხეს კონსტიტუციურ წყობილებას.“ შალვა პაპუაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ცალკეული ინდივიდებისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის გადაწყვეტილება შეჩერებულია.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე ინდივიდებისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, საკანონმდებლო ცვლილებებით „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერ დროს შეუძლია ხელახლა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ასევე, ყურადსაღებია „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება პარტია „ლელო - ძლიერი საქართველო“ პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის არც ერთი მოქმედი ლიდერი არ იკავებდა პოლიტიკურ თანამდებობას და არ ყოფილა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, პარტიის აკრძალვის მთავარი მოტივად ჩაითვალა ის გარემოება, რომ პარტიამ უარი განაცხადა პარლამენტში შესვლაზე და არ აღიარებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას.

აღნიშნული გარემოება უდიდეს საფრთხეს უქმნის მომავალში იმ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, რომლებიც არ აღიარებენ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. იმ პირობებში, როდესაც

75 „პუბლიკა“ - პაპუაშვილმა ჩამოთვალა პარტიები, რომელთა აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციოს მიმართავს. 28.10.2025 https://publika.ge/papuashvilma-chamotvala-partiebi-romelta-akrdzalvis-motkhovnit-sakonstitucios-mimartavs/ 30.10.2025.

„ქართული ოცნების“ მხრიდან სახეზეა კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების გაქრობის მცდელობა, ხოლო მათი კანონშემოქმედებითი საქმიანობა მორგებულია პარტიულ მიზნებს, მომავალში შესაძლოა ამ მოტივით მოხდეს სამოქალაქო ორგანიზაციების აკრძალვა.

დასკვნა

- 2025 წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების წინააღმდეგ გატარებული საკანონმდებლო პოლიტიკა სულ უფრო ზღუდავს ქვეყანაში განსხვავებული აზრის გამოხატვის თავისუფლებას. რეპრესიული საკანონმდებლო ინიციატივები, უკანონო, მასობრივი დაკავებები და მიკერძოებული სასამართლო გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებების შეზღუდვის და პროტესტის ძალადობრივად ჩახშობის მეთოდები სისტემურია და მასში „ქართული ოცნების“ მიერ მიტაცებული ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს.

- ბოლო მონაცემებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, კრიტიკულად არის გაზრდილი პატიმრების რაოდენობა, რაც პირდაპირ კავშირშია „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულ რეპრესიულ საკანონმდებლო პოლიტიკასთან. აქციების მონაწილეთათვის წაყენებული ბრალდებები, ასევე, პროცესების პარალელურად მაღალი რანგის სუბიექტების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევები, დაკავებულთა მიმართ გატარებული ღონისძიებები და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა მიანიშნებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრისა და პოზიციის მქონე ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნაზე, რაც საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობას ემსახურება.

- სასამართლო ხელისუფლება სულ უფრო მეტად ემსახურება „ქართული ოცნების“ პარტიულ ინტერესებს. შერჩევითი მართლმსაჯულება, განსაკუთრებით - ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ პირთა საქმეებზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები, რითაც აიკრძალა მედიის მიერ სასამართლო სხდომების გაშუქება, კიდევ უფრო აღრმავებს უნდობლობას სასამართლოს მიმართ.

- სამოქალაქო საზოგადოების დევნა, „გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის განმარტებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის არარსებობა, მის მიღებასთან დაკავშირებული პოლიტიკური კონტექსტი და „ქართული ოცნების“ აშკარად ბოროტი მიზნებით ნაკარნახევი კანონშემოქმედებითი მოტივაცია ცხადყოფს, რომ კანონის მიღება არ ემსახურება გამჭვირვალობას, არამედ მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სამოქალაქო სექტორის აკრძალვას.

- საქართველოში სულ უფრო მეტად მყარდება ერთი პოლიტიკურ ჯგუფის ინტერესებზე მორგებული მმართველობა, რაც აჩქარებს ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესს და არსებითად ასუსტებს დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებს. „ქართული ოცნების“ საშინაო და საგარეო პოლიტიკა ძირს უთხრის ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს და საქართველოს სულ უფრო მეტად აშორებს ცივილიზებულ სამყაროს.